საქართველო

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის

შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახური

ხულოს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ი „ხულოს სოციალური სერვისების ცენტრი“

შიდა აუდიტორული ანგარიში

(01.01.2018 წ. - 31.12.2018 წ.)

ხულო

2019 წ.

აუდიტის ობიექტი - ა(ა)იპ„ხულოს სოციალური სერვისების ცენტრი“

აუდიტის ობიექტის მისამართი - დ.ხულო, ტბელ აბუსერისძის ქუჩა №1

თემა - შესაბამისობის აუდიტი

შესაბამისობის აუდიტის საფუძველი - ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის, 2018 წლის 31 დეკემბრის № 964 ბრძანებით დამტკიცებული ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის წლიური სამუშაო გეგმა.

აუდიტის ჯგუფი - ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის უფროსი ზვიად თავართქილაძე და სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი რამაზ აბულაძე.

აუდიტის ვადა - 01.02.2019 წ. – 28.02.2019 წ.

აუდიტის პერიოდი - 01.01.2018 წ. – 31.12.2018 წ.

ჩვენ ჩავატარეთ ა(ა)იპ „ხულოს სოციალური სერვისების ცენტრის“ შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს 2018 წლის 01იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე განვლილ პერიოდს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ა(ა)იპ ხულოს სოციალური სერვისების ცენტრის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია გაწეული საქმიანობის კანონიერებასა და მიზნობრიობაზე, ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე", საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ", საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" №364 ბრძანების შესაბამისად.

აუდიტორების პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვას და ჩატარებას, მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით სადაც ასახულია ა(ა)იპ-ს მდგომარეობას 2018 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის მიმოხილვა:

ძირითადი განმარტებანი

,,ხულოს სოციალური სერვისების ცენტრის" სადამფუძნებლო დოკუმენტაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ,,ხულოს სოციალური სერვისების ცენტრი" დაფუძნებულია ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 16 თებერვლის №01-06/40ბრძანებით და იგი არის წევრთა მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი კავშირი. 22/01/2018 წლის ხულოს მუნიციპალიტეტის მერის N18 ბრძანებით დამტკიცებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი -

,,ხულოს სოციალური სერვისების ცენტრის" (შემდგომში - სოციალური სერვისების ცენტრი) **წესდება.** ა(ა)იპ-ის შიგა 22/01/2018 წ. N18 ბრძანებით დამტკიცებულია დაწესებულების **შინაგანაწესი.**

სოციალური სერვისების ცენტრს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ხარჯთაღრიცხვა, საბანკო და სახაზინო ანგარიშები, ბეჭედი, შტამპი, ბლანკი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

სოციალური სერვისების ცენტრი ახორციელებს თავის საქმიანობას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, წესდების და საკუთარი შინაგანაწესის საფუძველზე. ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე, რომელიც ახორციელებს დამფუძნებლის უფლებამოსილებებს.

სოციალური სერვისების ცენტრი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით. გაერთიანების იურიდიული მისამართია: ხულოს მუნიციპალიტეტი, დაბა ხულო, ტბელ აბუსერისძის ქ.№1.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვის მდგომარეობა და კანონიერება.

ა(ა)იპი „ხულოს სოციალური სერვისების ცენტრის" 2018 წლის დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებები განისაზღვრა 320 877 ლარით. ამავე პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 320 822ლარი. ე.ი. დაგეგმილი ბიუჯეტით გათვალისწინებულზე 55 ლარით ნაკლები. ბიუჯეტის შესრულება შეადგენს 99.98%.

მუხლობრივ ჭრილში შესრულება შემდეგნაირია:

შრომის ანაზღაურება პრემიის ჩათვლით გეგმით გათვალისწინებული იყო 21457 ლარის ასიგნება, გაწეულია საკასო და ფაქტობრივი ხარჯი 21457 ლარი.

საქონელი და მომსახურება მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 293 851 ლარი. გაწეულია საკასო ხარჯი 293 796 ლარი, ნაკლებობამ შეადგინა 14 ლარი. ფაქტობრივი ხარჯვა შეადგენს 293 706 ლარს.

შტატგარეშე მოსამსახურეთა ხელფასი გეგმით შეადგენს 201467 ლარი, გაწეულია საკასო და ფაქტობრივი ხარჯი 201466 ლარი.

მივლინების ხარჯის მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 270 ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 270 ლარი.

ოფისის ხარჯი დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 8 248 ლარს, ხოლო საკასო ხარჯი შეადგენს 8 197 ლარს, დაგეგმილზე 51ლარით ნაკლებს. ფაქტობრივი ხარჯვა შეადგენს 8107 ლარს.

სამედიცინო ხარჯების მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 37747 ლარი, საკასო და ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 37746 ლარი.

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი დაგეგმილი იყო 45855 ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 45853 ლარი. სხვაობა

საკასო ხარჯსა და დაზუსტებულ გეგმას შორის არის 2 ლარი. ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 45853 ლარი.

აღნიშნული მიმართულებით გამოვლინდა შემდეგი სახის **ხარვეზები**:

ორგანიზაციის ავტომობილებს სპიდომეტრის ჩვენება გაცილებით მეტია ვიდრე საწვავის ხარჯვის უწყისებშია წარმოდგენილი, ეს იწვევს ავტომობილების ზედმეტ ცვეთას, მწყობრიდან ხშირად გამოდის დეტალები, შესაბამისად მიმდინარე რემონტის ხარჯიც იზრდება.

წელს ავტომობილების მიერ გავლილი მანძილი კილომეტრებში.

	ავტომობილი, ნომერი, ამბულატორია	ჩვენება დოკუმენტურად 2017წლის აუდიტურ ანგარიშში		გავლილი მანძილი	სპიდომეტრის ჩვენება 2017 წლის აუდიტურ ანგარიშში		წარმოდგენილი მასალებით2018 წლის აუდიტური ანგარიშისათვის	
		საწყისი	საბოლოო		ფაქტიური	სხვაობა, ზედმეტად გავლილი მანძილი (5-3)	სპიდომეტრის ჩვენება 2018 წლის იანვარში	სხვაობა (7-2)
	1	2	3	4	5	6	7	8
1	ნივა 371. დიოკნისი	25342	34881	9539	39800	4919	34939	58
2	ნივა 348. აგარა	923	5000	4077	5000	0	3675	-1325
3	ნივა 349. თხილვანა	557	5403	4846	5417	14	5403	0
4	ნივა 349. დაბა	34608	44070	9462	47376	3306	44070	0
5	ნივა376. სხალთა	22095	31018	8923	39000	7982	39600	0
6	ნივა 377.რიყეთი	23544	32390	8846	34300	1910	32467	0
7	ნივა 378. დიდაჭარა	29851	40236	10386	47200	6964	40377	141
8	ნივა 379. ღორჯომი	22159	32006	9847	38184	6178	32006	0
9	ნივა380. ფუშრუკაული	24089	32551	8462	34493	1942	33612	1061
10	ლენდ როვერი 164. ხიხაძირი	114649	121355	6706	133955	12600	121355	0

ავტომობილების სპიდომეტრის ჩვენება 2018 წლის დასაწყისში უნდა ემთხვეოდეს 2017 წლის საბოლოო თვის ჩვენებას, რაც აღნიშნულ შემთხვევაში წარმოდგენილი მასალების მიხედვით არ არის თანხვედრაში.

აღნიშნული ხარვეზი 2018 წლის შესაბამისობის აუდიტურ ანგარიშშიც იყო დაფიქსირებული, მაგრამ ა(ა)იპ „ხულოს სოციალური სერვისების ცეტრის" მიერ კვლავ არ იქნა ფაქტი გამოსწორებული.

2018 წლის რეკომენდაცია აღნიშნულ ფაქტზე არა არის შესრულებული, აუდიტის სამსახური განმეორებით იძლევა რეკომენდაციას.

რეკომენდაცია:

ა(ა)იპი „ხულოს სოციალური სერვისების ცენტრის" არსებულ ქონებაზე, ავტომობილების მოვლა-შენახვაზე და კილომეტრაჟის აღწერაზე პასუხისმგებელმა პირმა, ყურადღება მიაქციოს, რათა ხარჯვის ფორმებში შესაბამისი კილომეტრაჟები დაფიქსირედეს. ავტომობილების გადაადგილებაზე განხორციელდეს უწყვეტი მონიტორინგი, რაც აღარ გამოიწვევს მათ მიერ ზედმეტად გავლილ მანძილს.

საშტატო სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის აუდიტი:

ა(ა)იპ სოციალური სერვისების ცენტრის 2018 წლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია 5 საშტატო ერთეული, ფაქტიურად მუშაობა განხორციელდა 4 საშტატო ერთეულით, დირექტორის თანამდებობაზე იყო მოვალეობის შემსრულებელი ხოლო მოადგილე ვაკანტური. ხელშეკრულებით აყვანილია 69 თანამშრომელი, მძღოლები და თემის სამედიცინო პუნქტების (თ.ს.პ.) ექთნები.

საშტატო სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის აუდიტის შედეგად გამოვლინდა **გარკვეული ხარვეზები:**

1. ხულოს მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 21 მაისის N170 ბრძანებით ა(ა)იპი „ხულოს სოციალური სერვისების ცენტრის" დირექტორად დაინიშნა შორენა ბოლქვაძე, რომელიც იმავდროულად იყო სოფლის ექიმის შტატზე. ორგანიზაციის შინაგანაწესის და კანონმდებლობის მიხედვით არ შეიძლება ორ პოზიციაზე მუშაობდეს. შინაგანაწესის მიხედვით სამუშაო დროა 9.30 დან 17.30 მდე, აქედან გამომდინარე როგორ ახორციელებდა ა(ა)იპ-ში ხელმძღვანელობას, თუ ამდროს ასევე ავადმყოფ პაციენტებს ემსახურეობდა სხვა დაწესებულების ეგიდით. 2018 წლის 19 ივნისის N174 ბრძანებით შორენა ბოლქვაზე განთავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან.

ა(ა)იპ სოციალური სერვისების დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად 18 თვეა დანიშნულია მზია აბულაძე, რა თქმა უნდა კანონით არ რეგულირდება თუ მოვალეობის შემსრულებლად რა პერიოდით შეიძლება იმყოფებოდეს, თუმცა აღნიშნული პერიოდი სრულიად საკმარისია პიროვნების შესაძლებლობების და უნარების გამოსავლენად და მისი განსაზღვრა გამოსადეგია თუ არა თანამდებობაზე.

რეკომენდაცია:

დაწესებულებაში მოვალეობის შემსრულებლად მომუშავე თანამშრომელის მიმართ თუ კი არ არსებობს რაიმე ხარვეზი და შენიშვნა მენეჯმენტის მიმართულებით, მოხდეს მისი შტატით გათვალისწინებული დირექტორის პოზიციაზე დანიშვნა, რაც შესაძლოა სტიმულის მიმცემი იქნება და შემდგომი მუშაობის ეფექტზეც დადებითად იმოქმედებს. საშტატო დისციპლინის სრულყოფისთვის, ორგანიზაციამ მუშაობა განახორციელოს საქართველოს შრომის კოდექსის და ორგანიზაციის შინაგანაწესის სრული დაცვით.

სახელმწიფო შესყიდვები

2018 წელს ა(ა)იპ „ხულოს სოციალური სერვისების ცენტრის" მიერ განხორციელებულია 31 სახელმწიფო შესყიდვა, მათ შორის 2 ელექტრონული ტენდერით, 2 კონსოლიდირებული ტენდერი (თეგეტა მოტორსთან საბურავებზე ერთი ხელშეკრულება და ვისოლთან საწვავზე 13 ხელშეკრულება), 2 ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე და 15 გამარტივებული შესყიდვა.

სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები.

კერძოდ: სახვადასხვა ხელშეკრულებებს აქვს ერთი და იგივე ნომერი (ხელშეკრულებები N17 16.07.2018 წ. ი.მ. ზურაბ გუნდაძესთან, სატრანსპორტო მოწყობილობები 150 ლარზე, ასევე ფიქსირდება ხელშეკრულება N17 18.07.2018 წ. შ.პ.ს. "SABA2009" საპოხი მასალების დასხვა შეძენა.

ხელშეკრულება N6, 02.03.2018 წ. შ.პ.ს. „ავტოსტარი"ტრანსპორტის ნაწილებზე და ასევე ხელშეკრულება N6 ს/ს ვისოლ პეტროლიუმთან საწვავზე 5.03.2018 წელს გაფორმებული 2244 ლარზე.

გამარტივებული შესყიდვები განხორციელებულია ბაზრის კვლევის გარეშე, რითაც არა არის გათვალისწინებული, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციები, გამარტივებული შესყიდვების განხორციელების შესახებ.

რეკომენდაცია

სახემწიფო შესყიდვები განხორციელდეს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" მოთხოვნათა სრული დაცვით.

შიდა აუდიტის და მონიტორინგის
სამსახურის უფროსი: ზვიად თავართქილაძე